# კურიკულუმი

| | |
|---|---|
| ფაკულტეტის დასახელება | პედაგოგიური |
| **პროგრამის დასახელება** | **განათლების მეცნიერებები და მართვა** |
| **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია** | განათლების მეცნიერებების მაგისტრი |
| **პროგრამის ხანგრძლივობა/ მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)** | პროგრამის ხანგრძლივობა - 4 სემესტრი<br>პროგრამის მოცულობა - 120 კრედიტი, |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების თარიღი;** | პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 19.04.2012, გადაწყვეტილება №101<br>აკადემიური საბჭოს დადგენილება №29(19/20), 16.12.2019 |
| **პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები** | ასოცირებული პროფესორი იაგორ ბალანჩივაძე.<br>iagor.balanchivadze@atsu.edu.ge<br>ასოცირებული პროფესორი მამული ბუჭუხიშვილი<br>Mamuli.buchukhishvili@atsu.edu.ge |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)** | ➢ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების მეცნიერებები და მართვა“ სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც წარმატებით აქვს ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით მაგისტრატურაში მისაღები გამოცდა.<br>➢ პროგრამაზე მიიღებიან აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქეები უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად. |
| **პროგრამის მიზნები** | საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:<br>➢ მოამზადოს ქალაქისა და რეგიონის მასშტაბით განათლების სისტემის ლიდერი-მკვლევარი, რომელსაც ექნება ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები მაღალი აკადემიური სტანდარტის მისაღწევად;<br>➢ შეასწავლოს განათლების მკვლევრისათვის საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევები, განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები, განათლების მართვის ძირითადი პრინციპები, დარგში მოღვაწეობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, მეცნიერული კვლევითი საქმიანობა, საგანმანათლებლო დაწესებულებების შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები;<br>➢ განუვითაროს განათლების პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით თეორიული ცოდნა, თეორიისა და პრაქტიკის ერთმანეთთან ეფექტურად დაკავშირებისა და განათლების კვლევის პრაქტიკული უნარ-ჩვევები;<br>➢ გააცნობიეროს საგანმანათლებლო სივრცის საჭიროებები, ინკლუზიური პოლიტიკა და ზრუნავდეს მათი განვითარებისათვის;<br>➢ შეასწავლოს ეროვნულ და უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და განუვითაროს საერთაშორისო გამოცდილების ქართულ საგანმანათლებლო სივრცესთან ადაპტირების უნარი. |
| **სწავლის შედეგები ( ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)<br>(სწავლის შედეგების რუქა ახლავს დანართის სახით, იხ. დანართი 2)** | |
| **ცოდნა და გაცნობიერება** | **მაგისტრი:** |

| | |
|---|---|
| | ➢ აღწერს ეროვნული და უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ინკლუზიურ პოლიტიკას, განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებს, განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართებებს და განაზოგადებს მათ;<br>➢ ჩამოთვლის/აღწერს განათლების ადმინისტრირებისა და მკვლევარისათვის საჭირო პროფესიულ მახასიათებლებს, განათლების მეცნიერებებში თანამედროვე კვლევის მიმართულებებს, მეთოდებს, განათლების სისტემის აგების სამართლებრივ საფუძვლებს;<br>➢ განაზოგადებს განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებს, ღრმა სისტემურ ცოდნაზე დაყრდნობით ქმნის ინოვაციებს და ახალ ორიგინალურ იდეებს მათ გადასაჭრელად. |
| **უნარი** | **მაგისტრს:**<br>➢ შეუძლია სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების ახალი ორიგინალური გზების გამოყენებით ძიება-გადაწყვეტა, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით კვლევის დამოუკიდებლად წარმართვა უახლესი მეთოდებისა და მიდგომების მეშვეობით;<br>➢ შეუძლია განათლების უახლოეს მიღწევებზე დაყრდნობით კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, კვლევის პროცესში მიღებული შეფასებების საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება და მათი გამოყენება პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით;<br>➢ შეუძლია განათლების ადმინისტრირებისა და მკვლევარისათვის საჭირო პროფესიული და პიროვნული უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება, ადამიანური რესურსების მოზიდვა, მათი კომპეტენციების შეფასება, მუდმივი პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;<br>➢ შეუძლია განათლების მეცნიერებებში საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისათვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით; |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:** | **მაგისტრს:**<br>➢ შეუძლია სწავლა/სწავლების პროცესის თავისებურებების გაცნობიერება /განხორციელება, კვლევისა და საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, განათლების სისტემაში სასწავლო და სამუშაო გარემოს მართვა, ადაპტირება, ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით პროფესიული ცოდნის და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. |
| **სწავლების მეთოდები** | • ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდები;<br>• თვალსაჩინოების (დემონსტრირების/მოდელირების) მეთოდები;<br>• დისკუსია/დებატები;<br>• კოოპერაციული (ჯგუფური და წყვილებში) მუშაობა;<br>• კოგნიტური სქემები (ვიცი–მინდა ვიცოდე–ვისწავლე; ვენის დიაგრამა, T დიაგრამა, ასოციაციური რუკა);<br>• სიტუაციური ამოცანის/შემთხვევის ანალიზი;<br>• სიუჟეტურ–როლური თამაში/სიმულაცია;<br>• არგუმენტირებული/კრიტიკული ესსე, ღია/დახურული ტესტი.<br>• ანალიზისა და სინთეზის მეთოდი. |
| **პროგრამის სტრუქტურა** | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების მეცნიერებები და მართვა“ წარმატებით დასრულებისათვის და განათლების მეცნიერებების მაგისტრის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა პროგრამის სასწავლო კურსებიდან უნდა აითვისოს:<br>1. **სავალდებულო კურსები** - 65 კრედიტი;<br>2. **პროფესიული პრაქტიკა** - 10 კრედიტი;<br>3. **სამაგისტრო ნაშრომი** - 25 კრედიტი;<br>4. **არჩევითი კურსები** - 20 კრედიტი.<br>**იხ დანართი 1. სასწავლო გეგმა** |

| | |
|---|---|
| **შეფასების სისტემა** | სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის № 3 და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანების შესაბამისად.<br>**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:**<br>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:<br>**სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში** *(მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს)* -**არანაკლებ 30 ქულა;**<br>**შუალედური გამოცდა- არანაკლებ 30 ქულა;**<br>**დასკვნითი გამოცდა - არანაკლებ 40 ქულა.**<br>**დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.**<br><br>**შეფასების სისტემა უშვებს:**<br>ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**<br>ა.ა) **(A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;<br>ა.ბ) (**B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>ა.გ) (**C) კარგი –** მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>ა.ე) **(E) საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.<br>**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**<br>**ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>**ბ.ბ) (F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში (აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/ საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ).<br>▪ სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.<br>▪ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.<br>▪ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.<br>▪ სასწავლო კურსში დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით.<br>***<u>შენიშვნა:</u>*** შუალედური და დასკვნითი (დამატებითი) გამოცდები ჩატარდება ფორმალიზებული წესით.<br>სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები სხვადასხვა კურსის სილაბუსებში არის განსხვავებული. შეფასების კრიტერიუმები იხ. კონკრეტული კურსის სილაბუსებში. |
| **დასაქმების სფეროები** | ➢ საგანმანათლებლო დაწესებულებები;<br>➢ პედაგოგთა გადამზადების ცენტრები;<br>➢ საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები; |

| | |
|---|---|
| | ➢ განათლების სფეროში მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები;<br>➢ მასწავლებელთა სახლები. |
| **აუცილებელი რესურსები და დამხმარე პირობები** | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები. უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამებს უზრუნველყოფს, აგრეთვე, საკონფერენციო დარბაზებით, პრაქტიკის ბაზებით, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით, ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსებით:<br>პროგრამის განხორციელებას ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები (დანართში იხილეთ CV). |

**სასწავლო გეგმა 2020-2021 წ.წ**
**პროგრამის დასახელება: განათლების მეცნიერებები და მართვა**
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მეცნიერებების მაგისტრი**

| № | კურსის დასახელება | კრ | დატვირთვის მოცულობა, სთ-ში | | | | ლ/პ/ლ/ჯგ | სემესტრი | | | | დაშვების წინაპირობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | საკონტაქტო | | დამ | | I | II | III | IV | |
| | | | | აუდიტორული | შუალედ.დასკვნითი გამოცდები | | | | | | | |
| 1 | **სავალდებულო კურსები** | | | | | | | | | | | |
| 1.1 | განათლების ფილოსოფია | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/1/0 | 5 | | | | |
| 1.2 | განათლების პოლიტიკა | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/1/0 | 5 | | | | |
| 1.3 | განათლების ფსიქოლოგია | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/1/0 | 5 | | | | |
| 1.4 | კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში I | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/1/0 | 5 | | | | |
| 1.5 | კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში II | 6 | 150 | 45 | 3 | 102 | 1/2/0 | | 6 | | | 1.4 |
| 1.6 | განათლების მართვის სამართლებრივი საფუძვლები | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/1/0 | 5 | | | | |
| 1.7 | განათლების ადმინისტრირება | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/1/0 | 5 | | | | |
| 1.8 | ციფრული და მედია წიგნიერება | 4 | 100 | 30 | 3 | 67 | 1/1/0 | | 4 | | | |
| 1.9 | სტრატეგიული დაგეგმვა და შეფასება | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/1/0 | | 5 | | | |
| 1.10 | ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/2/0 | | 5 | | | 1.2 |
| 1.11 | სამეცნიერო წერის საფუძვლები | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/1/0 | | 5 | | | |
| 1.12 | პრაქტიკის კვლევა-1 | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/1/0 | | | 5 | | 1.5 |
| 1.13 | პრაქტიკის კვლევა-2 | 5 | 125 | 45 | 3 | 77 | 1/2/0 | | | | 5 | 1.12 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | **პროფესიული პრაქტიკა** | 10 | 250 | 90 | 3 | 157 | 2/4/0 | | | 10 | | 1.2., 1.7., 1.10 |
| 3 | **არჩევითი კურსი** | | | | | | | | | | | |
| 3.1 | **არჩევითი კურსი-1** | | | | | | | | 5 | | | |
| 3.1.1 | ინკლუზიური განათლების პოლიტიკა | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/1/0 | | | | | |
| 3.1.2 | სოციალური პედაგოგიკა | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/1/0 | | | | | |
| 3.2 | **არჩევითი კურსი-2** | | | | | | | | | 5 | | |
| 3.2.1 | მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემები | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/1/0 | | | | | |
| 3.2.2 | პროფესიული ეთიკის საფუძვლები | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/1/0 | | | | | |
| 3.3 | **არჩევითი კურსი-3** | | | | | | | | | 5 | | |
| 3.3.1 | პროექტების მართვა და ფრანდრაიზინგი (ქართული, ინგლისურ ენაზე) | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/1/0 | | | | | |
| 3.3.2 | დარგის უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) | 5 | 125 | 60 | 3 | 62 | 0/4/0 | | | | | |
| 3.4 | **არჩევითი კურსი-4** | | | | | | | | | 5 | | |
| 3.4.1 | ბავშვთა  უფლებები (ქართული, ინგლისური) | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/1/0 | | | | | |
| 3.4.2 | განათლების სოციოლოგია (ქართული, ინგლისური) | 5 | 125 | 30 | 3 | 92 | 1/1/0 | | | | | |
| 4 | **სამაგისტრო შრომა** | 25 | 625 | 10 | 2 | 613 | - | | | | 25 | |
| **სულ** | | 120 | 3000 | 715 | 67 | 2500 | | 30 | 30 | 30 | 30 | |